ქვეპროგრამის დასახელება: ომის ვეტერანთა დახმარება

რა არის ქვეპროგრამის არსი?

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები).

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

დახმარების ოდენობა შეადგენს:

- მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეებისთვის 600 ლარს;
- მე-2 მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) 300 ლარს.

როგორ უნდა მიიღოს პირმა ბენეფიტი?

თანხის ჩარიცხვა ხორციელდება ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ბაზის საფუძველზე, ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.